ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 71

თბილისი 7 სექტემბერი 2018 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, **სსიპ "ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა"**, შემდგომში „შემსყიდველი", დირექტორის თეონა ყაჭეიშვილის სახით, და მეორე მხრივ, **შპს „ავერსი-ფარმა"** შემდგომში „მიმწოდებელი", უფლებამოსილი პირის კომერციული დირექტორის კატერინე მიქელაძის (მინდობილობის სარეგისტრაციო ნომერი №171497052 ინდივიდუალური №33007688809817) სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]") ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის ფარმაცევტული პროდუქტების /CPV კოდი: 33600000/ ღირებულებით 233.17 ლარი (დღგ-ს გარეშე) და სამედიცინო მოწყობილობების /CPV კოდი: 33100000/ ღირებულებით 50.36 ლარი (დღგ-ს გარეშე) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 300 (სამასი) ლარად დღგ-ს ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კატეგორიის /ქვეკატეგორიის კოდი
1	ბამბა 50 გ	ცალი	3	0,4	1,2	33141115
2	ბამბიანი ჩხირები №100	ცალი	1	0,91	0,91	33140000
3	ბახილები პოლიეთილენის 1წყვ.	ცალი	50	0,06	3	33140000
4	ბეტადინი ხსნარი 10% 120 მლ ფლ	ცალი	1	14	14	33661200
5	ბინტი 7მ*14 სმ არასტ.	ცალი	5	0,56	2,8	33141113
6	ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ	ცალი	2	0,27	0,54	33661200
7	დექსალგინი 25 მგ №10 ტაბ	ცალი	1	9,12	9,12	33661200
8	დიაზოლინი 0,1გ №10ტაბ.	ცალი	1	0,88	0,88	33661200
9	დიკლოფეროლი 50 მგ №20	ცალი	1	6,32	6,32	33661200
10	ეტანოლი სამედიცინო 100მლ	ცალი	4	1,36	5,44	33692000
11	ეფექტი ჩაი 4,5გრ №10 პაკეტი	ცალი	1	10,4	10,4	33661200
12	ვალერიანი პიტნით №40 ტ	ცალი	3	1,12	3,36	33661200
13	ვალერიანის ექსტრაქტი №50 ტ	ცალი	2	0,44	0,88	33661200
14	ვალერიანის ნაყენი 30მლ ფლ	ცალი	2	0,84	1,68	33661200
15	ვალიდოლი(მედილოლი) №10 ტ	ცალი	2	0,32	0,64	33661200
16	ვალოკორდინი 20მლ №1 ფლ	ცალი	2	3,6	7,2	33661200
17	ვალოსედი 25მლ ფლ	ცალი	2	2,4	4,8	33661200
18	ვიკასოლი 1% 1მლ №10 ა	ცალი	1	4,12	4,12	33661200
19	იმოდიუმი 2მგ №20 კაფს	ცალი	1	9,4	9,4	33661200

20	იოდის სპირტხსნარი 5% 10 მლ ფლ	ცალი	3	0,39	1,17	33692000
21	კაპტოპრილი 50 მგ №20 ტ	ცალი	1	6,16	6,16	33661200
22	კბილის წვეთები 25 მლ ფლ	ცალი	2	1,28	2,56	33661200
23	კეტამო 10 მგ №10 ტაბ	ცალი	1	3,2	3,2	33661200
24	კეტანოლი ფორტე 100მგ №20 ტ	ცალი	1	6,9	6,9	33661200
25	კოლდრექსი ჰოთრემი ლიმონით№10	ცალი	1	7,21	7,21	33661200
26	კოლხური მალამო 25 გრ ტუბ	ცალი	1	5,92	5,92	33661200
27	კორდიამინი 25% 25 მლ	ცალი	1	2,24	2,24	33661200
28	კორდიამინი 25% 2 მლ №10ა	ცალი	0,5	4,4	2,2	33661200
29	კორსიზი №10 ტ	ცალი	10	1,36	13,6	33661200
30	კოფეინი ნ/ბ 10% 1 მლ №10 ა	ცალი	1	2,08	2,08	33661200
31	ლევომეკოლის მალამო 5% 40გ	ცალი	1	1,56	1,56	33661200
32	ლივ-ანგინი №16 ტ საწ. თაფლ ლიმონი	ცალი	1	6,56	6,56	33661200
33	მაალოქსი 800 მგ №40 ტ	ცალი	0,5	8,36	4,18	33661200
34	მაგენოლი 100მგ №30ტ ხსნადი	ცალი	0,3333	12,2	4,06626	33661200
35	მეტამაქსი ხელ/სად. გელი 500 მლ	ცალი	5	7,6	38	33661200
36	მიგოფენი 400 მგ №10 ტაბ.	ცალი	1	5,76	5,76	33661200
37	ნიმესილი 100 მგ/2გ გრან. №30 პაკ.	ცალი	0,1667	13,44	2,24	33661200
38	ნიღაბი სამედიცინო №1	ცალი	100	0,08	8	33157100
39	ნოშპა 40 მგ №100 ტ	ცალი	1	12	12	33661200
40	ნუროფენი 200 მგ №10 ტ	ცალი	1	3,82	3,82	33661200
41	პარაცეტამოლი0,5 გ. №10 ტ	ცალი	3	0,28	0,84	33661200
42	პიტნის ნაყენი 25 მლ ფლ	ცალი	3	0,6	1,8	33661200
43	სტრეპსილსი №24ტ თაფლით ლიმონით	ცალი	1	7,12	7,12	33661200
44	ქუდი ერთჯერადი „ბერეტი“	ცალი	50	0,06	3	33141114
45	შავბალახას ნაყენი 25მლ ფლ	ცალი	2	0,52	1,04	33661200
46	შპრიცი ერთჯერადი 2 მლ	ცალი	5	0,08	0,4	33141310
47	შპრიცი ერთჯერადი 3 მლ	ცალი	5	0,09	0,45	33141310
48	ციტარმონი №6 ტ	ცალი	7	0,32	2,24	33661200
49	წყალბადის ზეჟანგი 3% 100 მლ	ცალი	4	0,48	1,92	33692000
50	ხალათი ქირ. ერთ XL ა/სტერ.	ცალი	15	1,24	18,6	33199000
51	ხელთათმანი ა/სტერ. M-7 წყვ.	ცალი	100	0,2	20	33140000
	ჯამი დღგ.-ს გარეშე				283,53	
	დღგ				16,47	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება, ერთჯერადათ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. საქონლის შესყიდვის ადგილია :ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 148ა (შპს "ავერსი-ფარმას" აფთიაქი), სადაც საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე. რომელთა 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებს (სასაქონლო ზედნადები ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახდო ანგარიშფაქტურა).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სკოლისშეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;დირექტორი: თეონა ყაჭეიშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ "ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა"	შპს „ავერსი-ფარმა"
ს/კ: 202887778	მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის 148
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს საქართველოს ბანკი
ბ/კ: TRESGE22	ბ/კ: BAGAGE22
სახაზინო კოდი:32060208	ა/ა: GE06BG0000000122932100
	ს/კ: 211386695
დირექტორი:	*კომერციული დირექტორი:*
----------/*თ. ყაჭეიშვილი*/	----------/ე. მიქელაძე/

სსიპ ქალაქ თბილისის N 198 საჯარო სკოლის გამარტივებული შესყიდვების მონაწილე პირების ხელწერილი N 71

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. თბილისი 7 სექტემბერი 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს „ავერსი-ფარმა" -ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი /თეონა ყაჭეიშვილი/

მიმწოდებლის შერჩევში მონაწილე პირი:
მტუკი / გია ფანჩვიძე/